

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის
ოქმი: 5

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში 2016 წლის 22 სექტემბერს, 11:30 სთ.

ამოცანები:

გარდამავალი გეგმის შემუშავების და მიღწეული პროგრესის განხილვა

ესწრებოდნენ:

ირმა ხონელიძე – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე
წოვინარ საკანიანი – გლობალური ფონდის პორტფოლიოს მენეჯერი
ოლგა ავდევა - გლობალური ფონდის მდგრადობის და გადასვლის სპეციალისტი
აკაკი ზოიძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო, ტექნიკური ჯგუფის ლიდერი
დენის გოდევსკი - ეიდს ჰელსქეარ ფაუნდეიშენი, ადვოკატირების მენეჯერი
ანა ზაკოვიჩი - ეიდს ჰელსქეარ ფაუნდეიშენი, ევროპის ბიურო, დირექტორის მოადგილე
ზოიზ შაბაროვა - აიდს ჰელსქეარ ფაუნდეიშენი, ევროპის ბიუროს დირექტორი
ირაკლი კაციტაძე - გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი, ადგილობრივი ფინანსური აგენტი
ხათუნა თოდაძე - “ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის” მ.ასათიანის სახელობის სამეცნიერო საბჭოს ნარკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე მჭთ პროგრამის დირექტორი
გიორგი სოსელია – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აივ პროგრამის მონიტორინგის და შეფასების სპეციალისტი
თამარ ქაშიბაძე - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
ელისო ბიჭაშვილი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
ლალი ჯანაშია - საქართველოს ტბ კოალიცია, პაციენტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე
მზია ტაბატაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო, ექსპერტი აივ/შიდსის საკითხებში
თეა ჯიბუტი – საერთაშორისო ფონდი კურაციო, ექსპერტი ტუბერკულოზის საკითხებში
ნატალია გორდეზიანი - საერთაშორისო ფონდი კურაციო, პროექტის კოორდინატორი
ირინა გრძელიძე – ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
მაკა დანელია – პასკ, პოლიტიკისა და ადვოკატორების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა ქ-ნმა ირმა ხონელიძემ, რომელიც მიესალმა დამსწრეებს, აღწერა შეხვედრის მიზნები, დღის წესრიგი და გარდამავალი გეგმის შემუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები.

ბ-ნმა აკაკი ზოიძემ წარმოადგინა გარდამავალი გეგმის შემუშავების პროცესი და დღემდე მიღწეული პროგრესი. მან აქცენტი გააკეთა პრიორიტეტული საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას გარდამავალი გეგმის მეშვეობით, როგორც ეს განისაზღვრა დაინტერესებული მხარეების მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკური გუნდი დაასრულებს გარდამავალ გეგმას 2016 წლის ბოლოსთვის, თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში, როგორცაა მაგ. C ჰეპატიტი და ასევე, განხორციელდება გლობალური ფონდის გრანტები დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში. ყოველივე ეს შეცვლის იმ ხარვეზებს, რომელთა დაძლევა უნდა მოხდეს გარდამავალი გეგმით. ამდენად, 2017-2018 წლის ბოლოსთვის საჭირო იქნება გარდამავალი გეგმის გადახედა და განახლება.

ქ-ნმა წოვინარ საკანიაშვილმა ხაზი გაუსვა პროგრამების მდგრადობისათვის დონორის დაფინანსებიდან წარმატებული გადასვლას მნიშვნელოვანს. მან აღნიშნა, რომ გლობალური ფონდის სურვილია იმუშაოს ქვეყნებთან და უზრუნველყოს შიდა და გარე რესურსების მობილიზება იმისთვის, რომ არა მხოლოდ შემუშავდეს გარდამავალი გეგმა, არამედ მოხდეს გარკვეული წინსვლა ინტეგრაციის კუთხით სანამ გლობალური ფონდი ჯერ კიდევ ქვეყანაშია. გეგმის შემუშავება მიმდინარეობს და საქართველომ აჩვენა გარკვეული პროგრესი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებში ინტეგრაციის თვალსაზრისით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გარდამავალი გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი, ამდენად მისი გადახედვის და განახლების საჭიროება გასაგებია. მთავარი მიზანი არის ის, რომ ქვეყანა, რამდენადაც შესაძლებელია, მოემზადოს პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს არა მხოლოდ მკურნალობას, არამედ პრევენციულ სერვისებს, და თავიდან ავიცილოთ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება.

ქ-ნმა ოლგა ავდეევამ დასვა კითხვა გარდამავალი გეგმის მოცულობასთან დაკავშირებით, გულისხმობს იგი გადასვლას მხოლოდ გლობალური ფონდის დაფინანსებიდან, თუ სხვა დონორების გასვლა და ჯანდაცვის რეფორმა და სისტემის რესტრუქტურირება. გარდამავალი გეგმა არის ქვეყნის დოკუმენტი, რომელიც იქმნება ქვეყნის საჭიროების მიხედვით. მაგრამ მაინც ჩვენ უნდა ვიცოდეთ ქვეყნის მიზნები და შესაბამისად რესურსების საჭიროება, თუ რამდენად არსებობს ეს ფინანსური რესურსები ბიუჯეტში იმისათვის, რომ მივაღწიოთ იმ მოცვას და შედეგებს, რაც დასახულია სტრატეგიული გეგმებით, და თუ არ არის ასეთი რესურსები რა ნაბიჯები იქნება გადადგმული ქვეყანაში.

ბ-ნი ზოიძე - გეგმა ძირითადად მოიცავს გადასვლას გლობალური ფონდის დაფინანსებიდან, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე სხვა ცვლილებები, ასევე, მიიღება მხედველობაში. საკვანძო საკითხი იქნება ფინანსური რესურსები, ამიტომ ჩვენ განვიხილეთ კონკრეტული დაავადების არსებული სტრატეგიები და რეფორმების გეგმები. გლობალური ფონდის მიერ დაფინანსების ახალი მოდელი ფარგლებში გამოყოფილი გრანტები მოიცავს რამდენიმე მექანიზმის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას.

ქ-ნი მზია ტაბატაძე - ჩვენ ჩამოვყალიბეთ იმ აქტივობათა ნუსხა, რომელიც საჭიროა აივ პროგრამის ძირითადი ხარვეზების დასაძლევად. ასეთია, მაგალითად, კანონმდებლობის ცვლილება იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჯანდაცვის სამსახურებში მიმართვის ბარიერები, დონორული პროგრამების ფარგლებში შექმნილი ტრენინგის მოდულების ინტეგრაცია ფორმალურ განათლების სისტემაში, ადვოკატირება ჯანმრთელობის კვლევებში ინვესტიციებისთვის. გაიდლაინები დამტკიცებულია, მაგრამ საჭიროა აივ პრევენციული მომსახურების სტანდარტების შემუშავება. ქა-ნმა თეა ჯობუტმა აღნიშნა, რომ ამასთან ერთად, ტუბერკულოზის სფეროში მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა.

ქ-ნმა საკანიანმა იკითხა თუ როგორია ამბულატორიული მოდელის და კერძო სექტორის ჩართულობის ხედვა.

ბ-ნმა ზოიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგრანტო პროგრამა, რომლის განხორციელებაც 2017 დაიწება მოიცავს ახალი მოდელების პილოტირებას, როგორცაა შედეგების მიხედვით ანაზღაურება, რამაც უნდა უზრუნველყოს კერძო პროვაიდერების მოტივირება აღნიშნული მომსახურების წარმოებისთვის, როგორც ორგანიზაციულ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გლობალური ფონდის გრანტი, უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ამ მოდელების ჩამოყალიბებისა და პილოტირებისთვის და გარდამავალი გეგმა ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით დანერგვას. კანონმდებლობასთან ერთად ეს არის მდგრადობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი. სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს კერძო პროვაიდერებს შეინარჩუნოს სერვისი, ასე რომ, საჭიროა მათი წახალისება დაფინანსების სქემებით. გარდა ამისა, შედეგების მიხედვით ანაზღაურების მექანიზმი ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვიდან რეფერალს და მკურნალობის დამყოლობის გაუმჯობესებას.

ქ-ნი ხონელიძე - ეს შეიძლება იყოს ადვოკატირებისა და პოლიტიკური დიალოგის სფერო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზის სტაციონარული მართვის დაფინანსების არსებული სქემა არასწორი მიდგომების მასტიმულირებელია. ჯანმო ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რიგ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა აქტიური შეძენა, ზოგიერთი მომსახურების ამ პაკეტში ინტეგრაცია და დაფინანსების მექანიზმების გადახედვა, ასე რომ, ჩვენ შეიძლება ველოდოთ მათი მხარდაჭერას.

ქ-ნმა ოლგა ავდევა დაინტერესდა შედეგის მიხედვით ანაზღაურების ეფექტურობის ანალიზის თაობაზე, რამდენად მოსალოდნელია დანაზოგების მიღება ისე, რომ

მთავრობას შეეძლოს აილოს პასუხისმგებლობა იმ საქმიანობაზე, რაც აქამდე დონორების მიერ ფინანსდებოდა.

ბ-ნმა ზოიძის განმარტებით სრულყოფილი ფინანსური პროგნოზი არ გაკეთებულა ქვეყანაში, თუმცა, დაფინანსების საჭიროება და ხარვეზების ანალიზი იქნება წარმოდგენილი გარდამავალ გეგმაში. რაც შეეხება შედეგზე დაფუძნებული ანაზღაურების ეფექტურობის, მტკიცებულებები არასრულყოფილია, მაგრამ არსებობს წარმატებული მაგალითები, განსაკუთრებით ტუბერკულოზის ამბულატორიული მართვის შემთხვევაში და ამიტომ, ჩვენ გვჭირდება პილოტირება, რომ შეიქმნას ქვეყანის შესაფერისი მოდელი.

ქ-ნმა ხონელიძემ ხაზი გაუსვა იმ ახალი შესაძლებლობების გათვალისწინების მნიშვნელობას, როგორცაა, მაგალითად გლობალური ფონდის და სხვათა რეგიონული ინიციატივები. ეიდს ჰელსქეარ ფაუნდეიშენის წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს მდგრადობის უზრუნველსაყოფად გარდამავალ პერიოდში ქვეყნის აქტიური ძალისხმევით და ასევე გამოთქვეს მზაობა, ხელი შეუწყონ ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს ყველაზე პრობლემური საკითხების გადაჭრაში, განსაკუთრებით პაციენტზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვისა და რთულად მოცვადი მოსახლეობის დახმარების კუთხით, ისევე ადვოკატირების კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ფონდი მუშაობს არასამთავრობო სექტორის გაძლიერებაზე და არასამედიცინო პერსონალის ტრენინგზე, თემის მობილიზაციასა და ასევე, აქვს სამედიცინო პროგრამები, ხელს უწყობს ტუბერკულოზის და აივ პროგრამების ინტეგრაციის.

ქ-ნმა საკანიანმა გამოთქვა მზადყოფნა ითანამშრომლოს ეიდს ჰელსქეარ ფაუნდეიშენტთან, რათა შეისწავლონ ყველა შესაძლებლობები და დახმარება გაუწიონ საქართველოს გარდამავალ პერიოდში. მან ასევე აღნიშნა, რომ რეგიონული ინიციატივები შეიძლება იყოს საინტერესო ქვეყანისთვის. აღნიშნული ინიციატივებია: ECOM - აწარმოებს ადვოკატირებას მსმ საკითხებზე, ECUO - შეისწავლის აივ დახმარების კასკადის ხარვეზებს რამდენიმე ქვეყანაში და შეიმუშავებს გადაწყვეტილებებს, EHRN - მუშაობს ზიანის შემცირების საკითხებზე და მომავალ წელს დაიწყება „ქალაქის პლატფორმა“ 5 ქალაქებში, მათ შორის თბილისში. ეს უკანასკნელი მომსახურების გაწევა მუნიციპალიტეტების ჩართულობის პილოტურ ვარიანტებზე იმუშავებს და ასევე ჩაატარებს ეპიდემიოლოგიურ კვლევებს. ასე 2017 წლის ბოლოს თბილისისთვის შემუშავდება კარგი მოდელი, რომ შეიძლება მოერგოს სხვა ქალაქებსაც და ამდენად, მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდისთვის.

ქ-ნმა ხონელიძემ დაუმატა, რომ ტექნიკური დახმარება მოსალოდნელია TB-Rep პროექტიდან, შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა მონაწილეებს.

გადაწყდა:

გარდამავალი გეგმის პროექტი წარედგინება კომიტეტს და საკოორდინაციო საბჭოს ოქტომბრის ბოლოს და მიეწოდება კომენტარებისთვის გლობალური ფონდის გუნდს ნოემბრის დასაწყისში.

მაკა დანელია

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

ოქმის შემდგენელი

მაკა დანელია

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი